016 192.168.1.11/nomfileserver/GetFile?file_id=027175444483390206408obj_name=A&SessValue=MbSxMFDC8u8duCDBfMleO1U4klfkk1x6cpEZ4hBdMKrgm5RCRcRFeLJy6ZTq0rxdQbdVtP...

Т-8

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

KA010182649993816

№16/216163

17 / აგვისტო / 2016 წ.

შპს ევრონიშნულის დირექტორი მერაბი
ბაღათურია 60001011603
ორთაჭალის ტურფა. ა ლაისტის # 9

ბატონო მერაბ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი №272207/07 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

http://192.168.1.11/nomfileserver/GetFile?file_id=027175444483390206408obj_name=A&SessValue=MbSxMFDC8u8duCDBfMleO1U4klfkk1x6cpEZ4hBdMKrgm5RCRcRFeLJy6ZTq0rxdQbdVtP9... 1/1

Т-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8.272207/07
„ 15 " 08 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, არტურ ლაისტის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.17.14.003.135) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საცხოვრებელი კომპლექსის №8 კორპუსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №20/830 28.09.2006წ..
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №6/2837-1 17.11.2010წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, არტურ ლაისტის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.17.14.003.135) მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები და გაბარიტები, აგრეთვე კარების ნახატები. მოსაწყობია სანიაღვრე მილები და შეცვლილია მოაჯირების ნახატები. ფასადებზე მოსაწყობია საჩრდილობლები. დასარულებელია კიბის და პანდუსის მოწყობა. შეცვლილია რელიეფის ნიშნულის დონე. დასასრულებელია საყვავილეების მოწყობა. შეცვლილია საყვავილეების ფორმა, კედლების სისქე და გაბარიტი. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია კიბეები. არ არის დემონტირებული ამწე. დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

68-18 ფასადი: ±0.00 ნიშნულზე გაზრდილია ბაქნის გაბარიტი. შეცვლილია მცირე კედლების რაოდენობა და სიმაღლეები. 48-48 ღერძთან დამატებით მოწყობილია კარი. 58-58 ღერძის მიმდებარედ ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი. +16.75 ნიშნულზე გაზრდილია აივნის გაბარიტები. +23.50 ნიშნულზე 48-38 მონაკვეთში დამატებულია ფანჯარა და ლითონის მოაჯირი. ფასადზე 28-28 და 58-58 ღერძებთან გაზრდილია კედლების სიგანე და შეცვლილია ღიობების მდებარეობები. აივნებზე კარების წინ მოწყობილია საფეხურები.

18-68 ფასადი: ვიტრაჟებზე დამატებით მოწყობილია მოაჯირები. აივნებზე გაზრდილია ღიობების გაბარიტები. +3.35 ნიშნულზე 18-28 და 58-68 მონაკვეთებში შეცვლილია ღიობების ნახატი და გაბარიტი, ასევე შეცვლილია აივნების გაბარიტები.

ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ფორმა, გაბარიტი და რაოდენობა. დამატებულია საკანალიზაციო და საკომუნიკაციო ღიობები. დასასრულებელია კიბეების მოწყობა.

-3.60 ნიშნულზე გაუქმებულია ლიფტის შახტა და გაზრდილია სართულის სიმაღლე. შეცვლილია კიბის ნახატი და საფეხურების რაოდენობა. 48-38 მონაკვეთში დასასრულებელია ანტრესოლის მოწყობა.

სახურავზე შეცვლილია შახტების მოწყობა. 28-28 და 58-58 ღერძებზე გაუქმებულია მცირე კედლები. შეცვლილია ლიფტის შახტის ფორმა და გაბარიტი, შახტაზე დამატებით მოწყობილია კარი და ფრამუგა.

პროექტში 18-68 ფასადზე არსებული ღიობების ნახატები არ შეესაბამება გეგმაზე არსებულ ღიობების ნახატებს.

კიბის ნაწილი ცდება საკადასტრო საზღვარს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს

№20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ორთაჭალის ტურფა"-ს, შპს „T58"-ს და შპს „ევრონიშნული"-ს, ქ. თბილისში, არტურ ლაისტის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.17.14.003.135) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საცხოვრებელი კომპლექსის №8 კორპუსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №272207/07 01.08.2016წ.
№272913/12 01.08.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე